



neonatalscreeningday.org

ერთად აღვნიშნოთ



ახალშობილთა
სკრინინგის
საერთაშორისო დღე

28 ივნისი

რა არის ახალშობილთა სკრინინგის საერთაშორისო დღე?

28 ივნისი ახალშობილთა სკრინინგის საერთაშორისო დღეა! ახალშობილთა სკრინინგით შესაძლებელია იშვიათი დაავადებების ადრეული გამოვლენა, მკურნალობისა და მართვის დროულად დაწყება.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ:

<http://neonatalscreeningday.org/>

<https://twitter.com/Screen4Rare>

რატომ აღვნიშნავთ ახალშობილთა სკრინინგის საერთაშორისო დღეს?

დროული მკურნალობის დაწყებასა და სიცოცხლის გადარჩენაში ახალშობილთა სკრინინგის როლის შესახებ ცნობადობის ამაღლება.

სკრინინგის პროგრამებში სამეცნიერო მიღწევები ს გათვალისწინება

ახალშობილთა სკრინინგში ინფორმაციის, მონაცემების მიმოცვლის მექანიზმების და ექსპერტიზის საკითხების გაუმჯობესება

პაციენტებისთვის და ზოგადად ჯანდაცვის სისტემისთვის სკრინინგის სარგებლიანობის შეფასება



იშვიათი დაავადებების ადრეული გამოვლენა ახალშობილთა სკრინინგის საშუალებით, სიმპტომების გამოვლენამდე და სათანადო მკურნალობის დაწყება - სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესების და ზოგჯერ სიცოცხლის გადარჩენის შესაძლებლობას იძლევა.

მივცეთ ბავშვებს დაბადებიდანვე უკეთესი ცხოვრების შანსი

ყოველწლიურად მსოფლიოში 140 მილიონი ბავშვი იბადება



სამწუხაროდ, 3 ახალშობილიდან მხოლოდ 1-ს უტარდება რომელიმე ტიპის სკრინინგი. ბევრ ბავშვს სკრინინგი მხოლოდ ერთ ან ორ დაავადებაზე უტარდება.




ყოველწლიურად მსოფლიოში შესაძლებელია 102 000 ახალშობილის გადარჩენა თუ შესაბამისი სკრინინგის ჩატარება და მკურნალობა იქნება ხელმისაწვდომი.

ფაქტები ახალშობილთა სკრინინგის შესახებ

- 1960-იან წლებში შეერთებულ შტატებში სკრინინგის დაწყებიდან 745 მილიონ ბავშვს ჩაუტარდა სკრინინგი ფენილკეტონურიაზე.
- მას შემდეგ 62000 ჩვილთან მოხდა ფენილკეტონურის დიაგნოსტიკა და მკურნალობის დაწყება.
- 2021 წელს 38 მილიონი ბავშვის გამოკვლევა მოხდა დაბადებისას, რაც მსოფლიოში დაბადებულ ბავშვების დაახლოებით 27%-ია.
- 2021 წელს სკრინინგის შედეგად იშვიათი დაავადებით 38000 ბავშვი გამოვლინდა, რომლებმაც მიიღეს დროული წვდომა მკურნალობაზე. ეს არის დაახლოებით 1 ბავშვი ყოველ 15 წუთში.

რატომ 28 ივლისი?



28 ივნისს აღინიშნება ექიმი რობერტ გათრის დაბადების დღე (28 ივნისი 1916 - 24 ივნისი 1995).

ის იყო მიკრობიოლოგი, რომელმაც შეერთებულ შტატებში 1960-იან წლებში დანერგა სისხლის წვეთის ქაღალდის ბარათით ახალი ანალიზი ახალშობილებში ფენილკეტონურიის გამოსაკვლევადა.

მისმა მოღვაწეობამ და საქმიანობამ რევოლუცია მოახდინა თანდაყოლილი დაავადებების მქონე ბავშვების გამოვლენაში, რამაც საშუალება მისცა ბავშვებს, რომ გაუმჯობესებულიყო მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა. რობერტ გათრიმ მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა ცნობიერების ამაღლებას ახალშობილთა სკრინინგის საჭიროების შესახებ, იმ დაავადებებისთვის, რომლებიც ექვემდებარება მკურნალობას.



ახალშობილთა სკრინინგი არის პროცესი

ყველა ეს ნაბიჯი უნდა განხორციელდეს 1 კვირის ვადაში, რათა მოხდეს ადრეული დიაგნოსტიკა და მკურნალობა



ოჯახის ინფორმირება
და სისხლის ნიმუშის
აღება



ნიმუშის
ტესტირება



შედეგების გაგზავნა
ოჯახისთვის და ჯანდაცვის
პროვაიდერებისთვის

ფენილკეტონურია ახალშობილთა სკრინინგი

1934: ნორვეგიელი დედა, ბორგნი ეგელანდი და მისი შვილები, იყვნენ მთავარი გმირები „ამბავში“, რომელშიც ასევე მონაწილეობდა ექიმი ასბიორნ ფოლინგი. ის ცდილობდა გაეგო ბავშვების ინტელექტუალური განვითარების შეფერხების მიზეზი. ეს გახდა ფენილკეტონურიის აღმოჩენის მიზეზი.

1951: ფენილკეტონურიის მკურნალობის აღმოჩენა უკავშირდება ორი წლის ბავშვს, შეილა ჯონსს, მის დედა მერის და სამ თავდადებულ პროფესიონალს ბირმინგემის ბავშვთა საავადმყოფოდან: ეველინ ჰიკმანსი, ჯონ ჯერარდი და ჰორსტ ბიკელი, რომელთაც შექმნეს უფენილალანინო ფორმულა.

1957: ექიმმა და ინტელექტუალური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვის მამამ, უილარდ ცენტერვოლმა, ფენილკეტონურიის დიაგნოსტიკისთვის აღმოაჩინა „საფენის ტესტი“.

1958-61: ექიმმა რობერტ გათრიმ ფენილკეტონურიის დაბადებისთანავე გამოსავლენად შეიმუშავა და გააუმჯობესა ბაქტერიული ინჰიბიციის ანალიზი.



ახალშობილთა სკრინინგის საერთაშორისო დღის ღონისძიებები
ემსახურება მთელ მსოფლიოში ახალშობილთა სკრინინგის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ახალშობილთა სკრინინგის საერთაშორისო დღის ვებგვერდის საშუალებით შესაძლებელია გააზიაროთ თქვენი აქტივობები, ასევე გაეცნოთ მსოფლიოში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებს.

JOIN THE **screen4rare** INITIATIVE



ახალშობილთა სკრინინგის საერთაშორისო დღე ტარდება, ახალშობილთა სკრინინგის საერთაშორისო საზოგადოების (ISNS), პირველადი იმუნოდეფიციტის პაციენტთა საერთაშორისო ორგანიზაციის (IPOPI) და იმუნოდეფიციტების ევროპული საზოგადოების (ESiD) მხარდაჭერით, Screen4Rare ინიციატივის ფარგლებში.



ახალშობილთა
სკრინინგის
საერთაშორისო დღე

28 ივნისი